ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №22

27.01.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-0323020130-03; 20.01.2023).**

მომხსენებელი:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

დ.ჯაიანი - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებლმა აღნიშნა, განკარგულების პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უნდა მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ.

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დაგეგმილია 50,600,000 (ორმოცდაათი მილიონ ექვსასი ათასი) ევროს ოდენობის სესხის და 5,000,000 (ხუთი მილიონი) ევროს ოდენობის გრანტის შეთანხმებაზე ხელის მოწერა. შესაბამისად, წინამდებარე „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“ განსაზღვრავს ხსენებული პროექტის განხორციელებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელ პირობებს.

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი სასესხო და საგრანტო შეთანხმებებით გათვალისწინებულ თანხებს მიიღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შემდგომში გასაფორმებელი ქვესასესხო და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებების საფუძველზე.

EBRD-ის მიერ გამოყოფილი სესხი მოხმარდება თბილისის მეტროს განვითარებას. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება 12 მეტროსადგურს, რაშიც იგულისხმება ესკალატორების და ელექტრომექანიკური დანადგარების პანელების შეცვლა, მგზავრთა ინფორმაციის შეტყობინების სისტემის განახლება, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შეცვლა. რამდენიმე მეტროსადგურის შესასვლელში დამონტაჟდება დახრილი ლიფტები. დახრილი ლიფტებით სარგებლობას შეძლებენ შშმ პირები, მოხუცები და სხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირები. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, პირველ ეტაპზე გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტის შერჩევის მიზნით.

რაც შეეხება EBRD-GCF სპეციალური ფონდიდან გამოყოფილ გრანტს, GCF გრანტი მოხმარდება „მწვანე ქალაქების პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს. GCF (მწვანე კლიმატის ფონდი) შეიქმნა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფინანსური მექანიზმის მოქმედი სუბიექტი, რათა დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შ.ოგბაიძემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი და ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის“ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-0323020130-03; 20.01.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე